

თავისუფალი საპროფესორო

№3 (63)

11-17 თებერვალი

1995 წ.

066421

ფასი 700 რუბლის
შესაბამისი ჯამონი

გაზეთი
რეგისტრირებულია
ოუსტივის სამინისტროს
მიერ
სარეგისტრაციო მოწმობის
№ 0441

WEEKLY NEWSPAPER

TAVISUPALI

SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ განსასჯელის პ. გელბახინისა და ი. დოკუაძის მიმართ 1995 წლის 31 იანვარს სახელმწიფო მსჯავრდებელმა მოითხოვა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

შეშფოთებული ვარ ამ არაპუნანური მოთხოვნით, რამეთუ ჩემი შვილი, მერაბ კოსტავა სიცოცხლის ბოლომდე დაუღალავად იბრძოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებისთვის. ვთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი თხოვნა მსჯავრდებულები შეიწყალოთ.

ოლა დეურიაკოსტავა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს

საქართველოს დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებებისა და ჟურნალისტების მიმართ

1993 წლის ოქტომბრიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო განიხილა სისხლის სამართლის საქმე N7493810, რომელიც ეხება ჩიქოვანის ქუჩაზე ავტოკატის ფაქტს. ამჟამად ეს სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება. 31 იანვარს პროკურორი ჯაბა კობერიძე სასამართლოს წინაშე წარდგა თავისი საბრძოლველო სიტყვით და მოითხოვა ჩემი შვილიდან ექვს განსასჯელს მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ოთხს - 10-13 წლით, ხოლო ორს - პეტრე გელბახინსა და ირაკლი დოკუაძეს - სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

ადამიანის უფლებათა დამცველები, დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები, აგრეთვე საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ამ პროცესს და დარწმუნდნენ, რომ იგი მიმდინარეობს განსაკუთრებით ადვოკატთა ელემენტარული უფლებების უგულვებლად, საერთაშორისო ნორმებისა და საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევით. სასამართლო მიების დროს გამოვლინდა წინასწარი პატივმოყვარული განსასჯელთა წიგნების, მათი ოჯახის წევრებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მრავალი ფაქტი, რომელიც დადგენასა და გამოძიებას სასამართლომ არ მისცა მსვლელობა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაცხადებთ საზოგადოებრივად, რომ აღნიშნული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს ტერორისტულად და პროკურორის მოთხოვნის დატყვევებით შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლმსაჯულების აღსრულებად.

ჩვენ, საქართველოს დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები და ჟურნალისტები მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებრივებს, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებს, ჩვენს კოლეგებს, რათა ხმა აღიმართოს ამ უკანონო წინააღმდეგ, წინ აღუდგნენ ქართველი ახალგაზრდების დახვრეტას, მოითხოვონ აღნიშნული სასამართლოს შეჩერება და ხელახალი ობიექტური გამოძიების ჩატარება.

- გაზეთი "თავისუფალი საქართველო"
- გაზეთი "სამრეკლო"
- გაზეთი "მარჯი"
- გაზეთი "იპერია - საქართველო"
- გაზეთი "თქმა სამართლისა"
- გაზეთი "აღდგომა" მურმან ზაქარაია
- გაზეთი "7 დღე"
- საინფორმაციო სააგენტო "იბერია"
- გაზეთი "სარანგი"
- გაზეთი "საქართველო"
- ჟურნალი "ცისკარი"
- გაზეთი "ნეგრო"
- გაზეთი "ასავალ-დასავალი"

ხელმოწერები გრძელდება

ფიქრები სიკვდილის პირისპირ

ძვირფასო
ლოდი სიამონებით ვითვლი (მართალია დაკვირვებით) შობა-ახალწლის მილოცვებს და მორიგე მადლობას ყურადღების თვის. ის უკუღმად დილა, მართალია ზედმეტად გუგათამაშე ყურადღებით, მაგრამ მეც ვიცი, რომ ჩვენ მეგობრები ვართ და მეგობრული ურთიერთობები ამას ითვალისწინებს.

რაც შეეხება განაშენს:
მე ამას თავიდანვე ველოდებოდი. რომ ვითარება შევეუწულო ვარ მით, რათა შენს და არა მარტო შენს ყველაფერს ღირსეულად მივიჩნიო. მერაბის განაცხადი მერაბის განაცხადს უკლებს განხორციელებას. თითქოს აქაც არავითარი პრობლემა არ არსებობს, მაგრამ მანც იტყობა გარკვეული ზეწოლა დასავლეთიდან და რაცმთაგანია, ამ ზეწოლის უფლებს "მერკანტილური" ინტერესები საზოგადოებაში.

თითქოს ყველა თვითნებურად ვეცნობოდი იმ სიტყვებს, რასაც ახლა ვერძევი, მაგრამ სულ სხვა ყოფილა როდესაც ყველაფერ ამასთან უშუალოდ შეხება გეჭოქს. ყველაზე მეტად ის ტყუილად დავტოვებ ვაშაყვენილი არავითარნიშნით ველოდებოდა არაქვე ბრალდებითი შარბის, მთავარია, მთავარია, შენს ყველა დაპირებაში პრობლემა ვაჭრება ბალუშვილი (ალბათ, ეს გვარი გეგია) პირველი შენ ვეღვიდან მიმდინარეობს - მანც შენს ვეწები სიცოცხლეთა, მეც ვაშაყვენილი - აბა, ჯანსოთი, ის - აბა ჯანსოთი, თუ არა, მეც იგივეს და ა.შ.

გულწრფელად გვუბნები - მე ვთვლი, რომ წიგნი პრობლემა იმდენად დიდია, ამ კვირაში შენს ვეწებს გამოსავალს დიდი მნიშვნელობა არააქვს, როგორც არ უნდა იცავს ეს განსაკუთრებული შემთხვევა, ის მანც შენს ვეწებს იმ სიყვარულს მის ვლას, სადასა ვუნდა დაეჭოთ ახლი ბრძოლა მუკლავს.

ხასიათზე სირომალურად ვარ, ძალიან გვაძნელებს ის ფაქტი, რომ გუგათამაშე ცნობის შემთხვევაში ხალხი კიდევ იცლის იმის თვის, რომ ჩვენს ვეწებს ვეწებს. მე ვთვლი, რომ არ შეიძლება ვთავიშვინდ ვაშაყვენილი წინააღმდეგობა რომელიმე ხელისუფლებისათვის და მით უმეტეს, ბრძოლა მისათვის თუ ვაშაყვენილი რისთვის იცავს წინააღმდეგობას.

ალბათ, ძალიან დავლოდ ვეწებს სერიოზული წერილით, მაგრამ რა ვუბნა ამ ვაშაყვენილი ამის მებრძოლნი მარტო.

გულწრფელად გვუბნები - რა ვთვლი და რა ვთვლი სი მონაგობის იმდენად.

პეტრე 5.II.95წ.

ისტორია გეორგია

ისევე როგორც 1983 - 84 წლებში, საქართველოში კვლავ მიმდინარეობს საინფორმაციო პოლიტიკური სასამართლო პროცესი "ტერორისტების" მიმართ და შეგარდნაზე კვლავ სასიკვდილოდ წინაგვს ახალგაზრდებს. ისევე როგორც მაშინ, საზოგადოების ერთი ნაწილი ამაოდ ცდილობს შეაჩეროს ფაქტობრივად არსებული, კრიმინალურ ბრძოლებზე ავტომატურად ეს საქმე, ხოლო მეორე ნაწილი ვაშაყვენილი მოითხოვს "ბანდიტების" დასჯას. მხოლოდ აქვერად ინტერესს იწყებს ერთი ნიშნის: დღეს პროკურორთან ერთად სასიკვდილო განაშენის მოთხოვნა ისინი, ვინც თავის დროზე გააგედა და თვითმფრინავის გამტაცებელია შეწყვეტა სთხოვა ცი - ს პირველ მდივანს. მანც უმაღლესად ურჩევს თავისი ძალა. ზოგმა ვერ გაუძლო აწივლას, უარი თქვა ამ ხელმოწერაზე, ზოგმა კი იმსანად უკან არ დაიხია. სამაგიროდ, წლების შემდგომ ერთნიც და მეორეც, თავიანთი ცი-ს მდივანის მეთაურობით ახსენდნენ კანონიერების წინააღმდეგ და ხელის აუკაცკალუმბლად დასაფუძვლად გაიმეტეს ათეულ ათასობით ქართველის სიცოცხლე, გაიმეტეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

და დღეს, ამ სისხლის ნიაღვრებითა და ცოდვით გადათვლილ, დანგრეულ ჩვენს სამშობლოში კვლავ სასიკვდილოდ იმეტებენ ახალგაზრდებს, რომელთა დანაშაული მხოლოდ წამებისა და ტანჯვის გზით გამოძალდული ცალბი ჩვენებით "მტკიცდება".

ჩვენ, მთელი საზოგადოებრიობა და მეტადრე ისინი, ვინც მშართველი რეჟიმის ქვეშევრდობით იწონებდნენ თავს, კვლავ არჩევანს წინაშე ვდგავართ; არჩევანისა, რომელზეც, ორი ადამიანის სიცოცხლის გარდა, დამოკიდებულია მათი მომავალიც, ვინც ეს განაწენი უნდა გამოიტანოს და ადასრულოს.

გამაჩვიდას ჩემი
ტვირთვებით!
ნუ ნიჭიულობით ნიჭით
ვიჩხვებ. ხის ამ ყუნდა
მოსდეს აუვანულები
და ამაყნი მხვდით
უვილაფერს. ვინაჟი-
იძლება ამაღიან მხ-
ბილამი ვაწმა ასვი
დაინანო აუ ქმევილი
სახე?ი ბავშვიჩი დამი-
ჯოსხვი.

P.S. ბავშვი ვნახე ჩემი
ხელნი ბილინიში ხმ და-
უვა ვიხილი. მე ვე ვეხი მ-
ნიჭიულებს ამ ვაწილეს
მეუბნ ხმ აქეჩნი/ხენ.
ნუ ბავშვიჩი, უღვი
ბავა მოხსენებას მია აქს.
აქვინი ისედა
1995 წლის 31 იანვარი

მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს კითხილი ნების ყველა ადამიანს

კითხვები
როგორც ცნობილია, საქართველოში მიმდინარეობს "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა" საქმის სასამართლო პროცესი, რომელიც ამაჟამად დასასრულს უახლოვდება. პროკურორმა ჯაბა კობერიძემ უკვე წარმოთქვა თავისი საბრძოლველო სიტყვა და მოითხოვა ჩემი შვილიდან ექვს პოლიტპატიმარს მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ოთხს - 10-13 წლით და აგრეთვე ორი პოლიტპატიმარს - პეტრე გელბახინისა და ირაკლი დოკუაძის მიმართ გამოიყენოს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

ეს წმინდა პოლიტიკური საქმე მთლიანად დაფუძნებულია ცალბე ჩვენებებზე, რომლებიც მოპოვებული იქნა წინასწარი მიების დროს პოლიტპატიმრებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით.

ამასთან, სასამართლო მიების განმავლობაში სისტემატურად ირდებოდა საპროცესო კოდექსის ნორმები, ილახებოდა განსასჯელთა ელემენტარული უფლებები, მათ შორის - დაცვის უფლება, წინააღმდეგობა ექმნებოდათ განსასჯელთა დამცველ ადვოკატებს.

ამ ვითარებაზე მრავალჯერს მოუთხოვებდნენ განსასჯელთა ადვოკატები და საზოგადოებრივი დამცველები, საქართველოს პელსისკის კავშირი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება (IGFM - ISHR), "უმისტი ინტერნეშნლ", აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია "მოუბან რაითს ვოლტ/მეფსინკი", რომელმაც გვქვემ დააყენა სასამართლო კოდექსის გადაწყვეტილებათა შესაბამისობა საპროცესო ნორმებთან და საპროცესო სასამართლოს ჩატარების მოთხოვნით შეიშუშავა მთელი რაიტი რეკომენდაციებისა საქართველოს ვენერაბლური პროკურორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მოსამართლე მირზა დოლიძისა და სხვა სასამართლოდამცავი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ.

მაგრამ პროკურორთა და სასამართლო ფიზიკური განადგურებისკენ.

ჩვენ, საქართველოს საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, მივაჯერობთ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას ამ უსამართლო, კანონის უხეში დარღვევებით მიმდინარე პოლიტიკური პროცესს და მოვითხოვთ მის დაუყოვნებლივ შეჩერებას, საქმის დაბრუნებას ძიებაში და ხელახალი გამოძიების დაწყებას ზართო საზოგადოებრივი მეთვალყურეობის პირობებში პატიმართა უფლებების სრული დაცვით.

მუხრან მაჭავარიანი, ვიოტრი ოჩიური, ელიზბარ ჯაგელიძე, ლია ანდროლოძე, თამარ ებრალოძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ჯემალ გოლოთიანი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ზვიად მიხიჯური, ბენან ჯაგანია, ათანდილ რტილაძე, ბიძინა დანაძე, გურამ ისაკაძე, რობერტ პეტრიანიშვილი, გურამ მაჭავარიანი, ველოდი მირტულავა, ჯემალ შოხია, ბიჭურზა აფრასიძე, იოსებ ბარათაშვილი, ჯემალ იონათამიშვილი, ეთერ მგალობლიშვილი, კოკა გაჭერელია, ზურაბ ყვარაცხელია, თემურ რეგიაშვილი, მია კერესელიძე, ანა ქავჭავაძე, ლია ბერუაშვილი, ზურაბ წულგია, დალი გერმანიშვილი, ვია თავზარაშვილი, ზურაბ ურუშაძე, მურმან მხარულია, ნონა დოქვირი, ნუგზარ ქანთარია, არჩილ მაჭავარიძე, ლევან ურუშაძე, ალვა გვაგალი, ვიოტრი კობახიძე, ნათელა ბახტაძე, ნიკო ნორაკიძე, რენო ესეანია, თემურზა მამაგვიშვილი, მანანა მიხაილოვა, ნუგზარ წიკლაური, ქეთევან ჯერდოვანიძე, მიხეილ დათაშვილი, დალი აბულაძე, მალხაზ ბაგელია და სხვები.

ხელმოწერები გრძელდება.

სეთუ უკანასკნელი წლების ტრაგიკულმა პროცესებმა არ დაგვარწმუნა, რომ თითოეული ჩვენსაგანი საკუთარი ცოდვების მძევალა; სეთუ ჯერაც ვერ მივხვდით, რომ უკანონობისა და განუკითხაობის ზემოთ გამსწვინებელი ადამიანი, რაოდენ დაცულიც არ უნდა ეგონოს თავი, განწირულია უსამართლო განაწენისთვის; ერთი განსხვავებით, ვიღაცას ქუჩაში, საკუთარ სახლში თუ მანქანაში ხერხებენ - არაადამიანურად, უსახელოდ, უღირსებოდ, ხოლო სხვანი ჯალათების წინაშე მდგარი ამაყად ხვდებიან განსაცდელს.

დროა, ამ არეულობის შემოქმედი საზოგადოება დაფიქრდეს, თუნდაც იმაზე, როგორი სიცოცხლე და როგორი სიკვდილი უფრო საპატიოა.

ჩვენ არ მოვითხოვთ ტერორისტებად "და ბანდიტებად" შეჩვენებული შეწყალებას, რამეთუ უპრესექციოდ მიგვჩანს რამეც ვთხოვთ ამ დროში გაწვლილი მკვლელობის ავტორი.

ჩვენ მოვითხოვთ საპროცესო კანონიერებას და საპროცესო სასამართლოს და მოუწოდებთ მთელ საზოგადოებას, ხმა აღიმართოს იმ თვალისცაცეში უკანონობის წინააღმდეგ, რომელიც საფუძვლად უდევს შეგარდნაბისულ "მართლმსაჯულებას".



30-31 იანვარს პროკურორ კახა კობერიძის საბრალდებო სიტყვამ ააფორიაქა საზოგადოება და არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეშეც. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციამ "პოპმან რაიოს ვოტჩ/ ჰელსინკი" სასწრაფოდ გააერთიანა რიგი საპროტესტო განცხადებებისა და რეკომენდაციებისა. 4 თებერვალს ვენევიდან თბილისში, სასამართლო პროცესზე დასასწრებად ჩამოვიდა ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საგანგებო წარმომადგენელი, ბ-ნი არმინ ბამერი. 6 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, "პოპმან რაიოს ვოტჩ/ჰელსინკი"-ს აპელირებულ იქნა რაიონში გაკეთებული რეკომენდაციების თანახმად, უზენაესი სასამართლოს დარბაზში გამოცხადდნენ აშშ-ს საენლოს მიერ მიღებული ადვოკატთა და დოკუმენტის საერთაშორისო მდგომარეობის აკომპანირებული, "ასომი-ეთიერ პრესის" ახლად ჩამოყალიბებული კორესპონდენტი, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებული საინფორმაციო სააგენტოებისა და ქართველი გაზეთების წარმომადგენლები, კანონიერი უზენაესი საბჭოს წევრები. პროცესს დაესწრნენ ბატონები - მუსრან მამუკაშვილი, ელიზბარ ჯავახიძე, თენგიზ კიკაბერიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, გიორგი კერეაშვილი, გიორგი თევზაძე, სამედიცინოების წარმომადგენელი, ნოდარ ნათაძე, თენგიზ დიხაძე, ვინც ვინც დასწრეობდა. დარბაზი ვერ იტევდა ყველა მსურველს. სასამართლოს წინ ქუჩა ხალხით აივსო.

ყველა ელოდა - რას იტყვის ადვოკატი გიორგი მუსხისანი სახელმწიფო ბრალდებულის კახა კობერიძის საპასუხოდ.

"ირაკლი დოკვაძის დანაშაული არ ჩაუდენია!"

განსაჯულ ირაკლი დოკვაძის დამცველმა, ბ-ნმა მუსხისანმა მიუსაძმირა დასაბრალებულთა ოჯახებს და მოკლე შესავლის შემდეგ განაცხადა:

"... ამ საქმეზე, ჩემის დრმა რწმენით, არ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, რადგანაც ესაა კლასიკური მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა იყოს გამოძიებული და განხილული საქმე. მე ვთვლი, რომ ბ-ნმა თავმჯდომარემ და პროკურორმა არაობიერად ფაქტები მოგაწოდეს. მართალი გითხრათ, ბოლო მომენტამდე მჭონდა იმედი, რომ ბ-ნი პროკურორი ობიექტურ გზას დაადგებოდა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ მივაღწიეთ. მიუხედავად პასუხისმგებლობით მინდა განაცხადო - ირაკლი დოკვაძის დანაშაული არ ჩაუდენია..."

შემდეგ ადვოკატი შეეხო ჩიქოვანის ქუჩაზე ავთოქების შედეგად 5 ადამიანის დაღუპვის ფაქტს და განაცხადა, რომ შეუძლებელია ეს შედეგი განხილულ იქნას, როგორც განზრახ მკვლელობა.

"მე არც სასამართლოს იმედი მაქვს. სასამართლო ამ საქმეზე ობიექტურ განაჩენს არ გამოიტანს - განაგრძობ ადვოკატმა - დარწმუნებული ვარ, საქმე იქნება განხილული ზეწვით და ჩემი სიტყვა მაშინ დაგვირგდება." ადვ. მუსხისანი ამტკიცებს, რომ სხენებული საქმის სცენარი წინდაწინ იყო შედგენილი და ირაკლი დოკვაძე უკვე ძიების საწყის სტადიაში განხილვებოდა მხოლოდ როგორც დამნაშავე.

"1992 წლის 21 აგვისტოს საინფორმაციო-სადაზვერუო ბიუროს შევი, ირ. ბათიაშვილი წერს გენ. პროკურორს, რომ: "შემთხვევის მე-4 დღეს გამოვლინდა ავთოქების ერთ-ერთი უშუალო შემსრულებელი - ირ. დოკვაძე. თუ ეს ცნობილი იყო მე-4 დღეს, რატომ გაიკა დოკვაძის დაპატიმრების სანქცია 20 ივნისს? რატომ არ დამტკიცდა უკვე 20 აგვისტოს, რომ დოკვაძე დამნაშავე იყო? რაში იყო საჭირო ძიებისთვის ერთი წელი" - კითხულობს ადვოკატი. "საგამომძიებელი ჯგუფის უფროსმა, ა.ბაღვაშვილმა 1992 წლის 11 დეკემბერს ქ. მოსკოვში ჩატარა პრესკონფერენცია, სადაც განაცხადა: "ირაკლი დოკვაძის მდიდარი გამოცდილება აქვს... იგი მკვლელობა... საქმე უკვე გახსნილია". თუ ეს ანუ, რატომ დასტურდა გამოძიებას ამის შემდეგ კიდევ 10 თვე?! ამ საქმეზე თავიდანვე იყო დადგენილი სპეციალური ბალუსტიკის არქონდა ამის განცხადების არანაირი უფლება". - დაასკვნა ადვოკატმა.

შემდეგ იგი შეეხო ი. დოკვაძის დაკავების გარემოებას: "გვარლის მიდევანი უფროსის, კორკიტაძის დოკვაძე პასუხობს - დანაშაული ჩიქოვანის ქუჩაზე ჩემი ჩადენილი არ არის. 4 სექტემბერს ი. დოკვაძე ჩამოიყვანეს თბილისში, სადაც აეროპორტში მას შეხვდა ჯაბა იოსელიანი..."

მას მათი შეხვედრა გადაღებულია ფირზე, მე ეს ფირი თქვენ წარმოგიჩინებ და გთხოვთ, დაგვითხოთ საქმისთვის, მაგრამ თქვენ არც კი მიიღეთ. რატომ? ბქონდათ თქვენ ამის უფლება?"

მე მგონია, არა გქონდათ."

გამოსესიანმა ამ ვითარებაზე ყურადღება გაამახვილა იმის გამო, რომ ჯ. იოსელიანთან საუბრის შემდეგ დოკვაძემ უკვე ყველაფერი აღიარა და სხვებიც ამხილა.

"იკისრა ყველაფერი, ლენინის მკვლელობის გარდა. მე მიმანია, რომ აღიარა წამების შედეგად".

შენიშნა ადვოკატმა და შეახსენა საზოგადოებას სასამართლო ძიების დროს მიცემული ი. დოკვაძის ჩვენება, სადაც იგი აღწერდა, როგორ სცემეს ბაშტაძეს სცვირი და თავი.

დოკვაძის ჩვენების თანახმად, როდესაც მას უღებდნენ სურათს, მოიყვანეს გრიბორი და დაუშუშავეს სახე, რათა არ გამოჩენილიყო ცემის კვალი.

ამასთან დაკავშირებით ადვოკატმა მოიპოვა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მაგრამ სასამართლომ არ ისურვა ამ საკითხის გარკვევა.

"თუ ეს სასამართლო არ გვაძლევს საბუთებს, არ გვაძლევს მტკიცებულებებს, როგორ დაგამტკიცოთ რაიმე? მიუხედავად ამისა, გვაქვს საბუთები გამტკიცოთ, რომ დოკვაძე იყო ნაცემი"

- დაასკვნა გ. მუსხისანმა.

"ქენევა უორსაა" - ფიქრობს დოლიძე

მოსესიანმა მიუთითა, რომ სასამართლოზე ყველა პატიმარმა განაცხადა, რომ მათ აწამებდნენ, ცემდნენ, ასახელებდნენ დავით ჩოგოვანის გვარს, რომელსაც ციხეში ხალხი ჰყავს დატრული. მაგრამ სასამართლო არც ამ საკითხებით დაინტერესებულა.

შემდეგ მან გააერთიანა სასამართლოს "პოპმან რაიოს ვოტჩ/ჰელსინკი"-ს რეკომენდაციები მოსამართლე მირზა დოლიძისადმი და შეახსენა სასამართლო კოლეგიას, რომ ამ დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე მოითხოვა მისი დართვა საქმეზე. მოსამართლემ არ მიიღო არც ეს მტკიცებულება ისევე, როგორც IGFM-ის ცნობა სხენებულ საქმისთან დაკავშირებულ ბრალდებულთა წამების შესახებ. "ყველა ძალიან შორსა და იქიდან ვერაფერს გამოითხოვ". - უთქვამს დოლიძეს.

სამაგიეროდ, სასამართლოზე გამოქვეყნდა ს/ს საქმე დავით ჩოგოვანის მიმართ, მაგრამ დაცვა ამ საქმეს არ გასცნობია, რაც ასევე კანონის დარღვევას წარმოადგენს.

ჩიქოვანის საქმეში არ მოიპოვება ექიმების დასკვნა ზაზა წიკლაურის ზურგის დაწვრობის შესახებ და მხოლოდ ნათქვამია გადაყვანისას, მანქანიდან გადმოხტომის დროს მიღებულ ტრავმებზე. "მაგრამ ზურგზე დაწვრობა როგორ აღმოაჩინდა? - იკითხა გამოსესიანმა - პროკურატურაში რომ იკითხე, მითხრეს ცხელ ჩაის სვამდა და დაიწყო. მაგრამ ჩაის ადამიანი, მათ შორის ზაზა წიკლაური, როგორ სვამს? გულმ-კერდი, ხელები, ტუჩები პირი რომ დაეწვა - გასაგებია, მაგრამ ზურგი?"

ადვოკატმა აღნიშნა, რომ მას არ უშეგებდნენ ბრალდებულთან მას შემდეგაც, რაც დოკვაძემ

დაასკვნა გ. მუსხისანმა.

სასამართლო ბრძოლა...

ადვოკატი პრობურობის წინააღმდეგ

როსი განცხადება დაწერა ა. ბაღვაშვილის სახელზე. ამბობდა ორი განცხადება საქმიდან ამოღებულია, დიკარგა. "მე დავითხვევს არ ვესწრებოდი, მე მასალებს არ მაცნობდნენ. ამიტომაც დაკარგეს ეს განცხადებები" - ასკვნის გ. მუსხისანი. "მე გთხოვთ, რე მიიყვანოთ საქმის იქამდე, რომ განაჩენი იქნეს გამოტანილი. შეწვევით სხდომა და, სანამ კიდევ დროა, დავიწყოთ საქმის განხილვა კანონის მიხედვით, ეს ახლაც არ არის გვიან."

შემდეგ იგი შეეხო განსაჯულთა სასამართლო პროცესიდან გაძევების ვითარებას და პასუხისმგებლობა ამისათვის დააკისრა მოსამართლეს, რომელმაც კანონის უხეშად დარღვევებით, განსაჯულთა უფლებების შელახვით წყობიდან გამოიყვანა განსაჯულნი. "დახმ, მათ დადარღვეეს წესი სიგარეტის მოწვევით, მაგრამ ამასზე თქვენ უბიძგეთ, რომელიც სისტემატურად არღვევდით კანონს."

ადვოკატმა აღნიშნა, რომ წინასწარი ძიების დროს ი. დოკვაძისგან ჩამორთმეულ ჩვენებებში არის უამრავი წინააღმდეგობა და უზუსტობა, რაზეც ყურადღება არ მოქცევა არც გამოძიებულის და არც სასამართლოს, მაგალითად ერთი ფაქტიც კმარა: ერთ-ერთი ჩვენებებში ნათქვამია, რომ ი. დოკვაძემ, გ. ელსაშვილმა და პ. გელდახანმა ამ უკანასკნელის მანქანით ნუკუბიდის პლატოზე აიყვანეს წითელი "ზაპოროვცი" და ეს ხდებოდა ივნისის პირველ რიცხვებში. ადვოკატმა გამოხატა თავისი გაოცება, ვინაიდან პ. გელდახანის მანქანა მოპარული იყო მაისის თვეში. ეს კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ გამოძიება, არსებითად, არ ჩატარებულა.

ვის ეკუთვნის თეთრი პერსონაჟი?

7 თებერვალს ადვოკატმა გამოსესიანმა განაგრძო თავისი სიტყვა: "გამომიბა, ერთის მხრივ, ხელოვნურად ქნის დამამტკიცებელ საბუთებს, მეორეს მხრივ კი - ყურადღებას არ აქცევს იმას, რასაც უნდა მიაქციოს", ამტკიცებს გ. მუსხისანი.

"... ჯაბა იოსელიანის დაცვა დაკითხულია წინასწარი ძიების დროს, ძირითადად 13-14 ივნისის, ამიტომ ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი რაიმე ეთქვათ ირაკლი დოკვაძის სასარგებლოდ.

მოწვევ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ ავთოქების წინა დღეს, 12 ივნისს, დღის 10 სთ-ზე მოპირდაპირე კორპუსთან შენიშნა თეთრი ფერის გაზ-29, უნებრო ავტომობილი, რომელშიც იჯდა 5 ავტომობილიანი პიროვნება. შემოწმებისას მათ მიღების მუშაკთა ძველი საბუთები აღმოაჩინდა. შესაძლოა, ამ ფაქტს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ავთოქებისთან, მაგრამ განა ძიებას არ უნდა შეემოწმებინა, როგორ შეიძლება ასეთი ფაქტის უყურადღებოდ დატოვება. გასაოცარია, რომ გამოძიებულს არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამს მოწმისთვის. მეორე მოწმე, ასევე ჯავახიშვილი დიმიტრი ადასტურებს ამ მანქანის არსებობის ფა-

ქტს, მხოლოდ ამბობს, რომ იქ ოთხი პიროვნება იჯდა.

მოწმე ელენე არჩვაძე ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ 12 ივნისს "ზაპოროვცის" ტიპის მანქანა იჯდა დაახლოებით იქ, სადაც მოხდა ავთოქება, შიგ რამდენიმე კაცი იჯდა, ერთ-ერთი წვერიანი და მოწმე ამბობდა, რომ ამ კაცის ამოცნობა მას შეუძლია. გამოძიება კი არც დაინტერესებულა ამ პიროვნებით. ეს წარმოუდგენელია, რომ მოწმე ამბობდეს, შემიძლია შესაძლო დანაშაულის ამოცნობა და გამოძიება ყურადღებას არ აქცევს ამ ფაქტს" - ვერ დამალა თავისი აღშფოთლება გამოსესიანმა.

ადვოკატი განაგრძობს:

"სასამართლო დავითხვევის დროს მე ვკითხე არჩვაძეს, აქ თუ ზის-მეტი იმ პიროვნება. მან მიპასუხა - არაო. თუ იცნობდით - ვიცნობდიო. სასამართლოზე შეიკვლიდა მხოლოდ ერთი რამ: "ზაპოროვცის" მაგიერ მან დაასახელა "მოსკვიჩი".

საინტერესოა მოწმე, ქ-ნი გომოსის ჩვენება. იგი ამბობს, რომ ხილიანის ქუჩაზე მიდიოდა ცელოფანის ხელჩანთით, რომელიც წითით დაღო იქვე მდგარ მანქანაზე. ქუჩის მეორე მხარეს იჯდა რამდენიმე კაცი, მათ შორის წვერებიანიც. ერთ-ერთმა მითხრა, ეს ჩანთა მოაცივდეთ. მართალია, გომოსი აცხადებს, რომ მას გაუჭირებდა იმ კაცის ცნობა სამი წლის წინ. მე ეს არ მიკვირს, მაგრამ ავთოქებიდან 6 თვის შემდეგ ხომ ამოცნობდა. მაგრამ გამოძიება ამით არ დაინტერესებულა."

ჯაბა იოსელიანის მძღოლის ჩვენებიდან:

"ჩიქოვანის ქუჩაზე გზა გადავიღო თეთრი ფერის მერსედესმა და ხელოვნურად შეფერხა ჩემი მობრობა, ვინაიდან მე მას ხელს არ ვშეშლიდი, თავისუფლად შემებლო გავლა. ამის შემდეგ ასევე ხელი შემეშალა თეთრი ფერის გაზ-24 ტიპის მანქანამ."

მოწმე ლობჯანიძე ასევე ადასტურებს ხილიანის შესახებ თეთრი ფერის გაზ-24 მანქანის მობრო-

ბას. მასში სამი ადამიანი იჯდა.

იგივე ფაქტი დაადასტურეს მოწმეებმა ცეკიტ-აშვილმა და დერგოლიშვილმა. შეკითხვაზე, შეგნებულ იყო თუ არა მობრობის შეფერხება სხენებულ მანქანის მხრიდან, მოწმეები პასუხობენ, რომ მათი აზრით, შეგნებულა. გასაოცარია, რომ გამოძიებულ ამ ფაქტს არც ერთი დაინტერესებული ადამიანი ამ მანქანის რაობა და ვინ იჯდა მასში."

წინასწარ გამოძიების დროს მოწმეები ადასტურებდნენ, რომ ჩიქოვანის ქუჩაზე მოხდა არა ერთი, არამედ ორი ავთოქება, თუმცა, გამოძიება არც ამით დაინტერესდა. იგივე პირები აცხადებენ, რომ ავთოქების შემდეგ გაოსმა რამდენიმე გასროლა ავტომობილი იარაღიდან. ამასვე ადასტურებს მოწმე ადუაშვილი, ხოლო მოწმე ბიჭიაშვილი, რომელიც ამ დროს საკუთარ ავტომობილს მართავდა და დაიჭრა კიდევ, აცხადებს: "ჩემს უკან მოდიოდა წითელი ფერის "ვოლგის" ტიპის სატვირთო მანქანა."

მოწმე მამულაშვილის თქმით, ხილიანის ქუჩიდან გამოფარდა წითელი ფერის გაზ - 2106, სროლა-სროლით გაიარა ქუჩა და სპორტის სასახლის მიმართულებით წავიდა.

ჯ. იოსელიანის დაცვის წვერი, ფანჯრულიც აცხადებს: "დიდი სიჩქარით მიდიოდა "ვოლგა" - 06. ორი კაცი იჯდა და, რაც მთავარია, მესამე - არაბუნებრივი პოზაში, მას ფეხები ფანჯრიდან ჰქონდა გამოყოფილი და თავი ჩაწული. ამან დამაშვეა."

წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ამ ჩვენებების ციტირების შემდეგ ადვ. გამოსესიანმა მიმართა პროკურორს:

"ამ საქმეზე მხოლოდ პროკურატურაში, რომ არ ჩავთვალთ, საინფორმაციო-სადაზვერუო ბიურო, მუშაობდა 7-8 კაციანი ჯგუფი. როგორ მოხდა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით არც ერთმა გამოძიებულმა არ დაუსვა მოწმეებს არც ერთი კითხვა. სანამ ეს ჩვენებები არ გაემიჯრება, სანამ არ გაირკვევა, ვინ იყო ამ მანქანებში, გამოძიება დასრულებულად ვერ ჩაითვლება და სიმართლეს ვერ დავადგენთ."

შეგახსენებთ მოწმე გვენეტაძის სიტყვებს: "აუთო ჰვლიძე ის პიროვნებაა, რომელსაც შეგელო ჩადინა ეს აქტი. ძალზე სატვირთო პიროვნებაა". მე ვკითხვით - კვლავ მიმართა ადვოკატმა პროკურორს, - დაინტერესდებით, ვინ არის ეს პიროვნება? მე არ ვამტკიცებ, რომ ეს დანაშაული მან ჩადინა. მე ვამტკიცებ მხოლოდ ერთს - რომ ეს საქმე გამოძიებული არ არის."

ადვოკატმა მოითხოვა სასამართლოზე შეიკვიბის გამოკვლევა

ადვოკატმა შეახსენა სასამართლოს, რომ ერთ უშუალოდობაში დასვა სასამართლო ძიებისათვის მტკიცებ მნიშვნელოვანი 37 საკითხი. კერძოდ, დავით ზეიქიძის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მან,

თურმე, ჯაბა იოსელიანს მიუტანს ჩემი სიტყვა რათი, რომელმაც ჩადინა ეს აქტი, ადვოკატმა მოითხოვა სასამართლოზე დ. ზეიქიძის გამოკვლევა, მაგრამ მოსამართლემ უარი განაცხადა.

"დღეს თ-კიტოვანი დაპატიმრებულია, - განაგრძობ ადვოკატმა - მაგრამ მაშინ ხომ არ იყო. იგი სამხედრო საბჭოში ერთ-ერთი მთავრი ფიგურა ბრძანდებოდა და ამ დროს აცხადებს: შე მაქვს ცნობა, რომ ეს აქტი არ ჩაუდენიათ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს. თქვენ, ბ-ნი მოსამართლო, იგი არ გამოიძახეთ, არც ამით არ დაინტერესდით."

არ დაკითხულა სასამართლო ძიების დროს არც პატიმარი ჯინჯარაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ავთოქება მოაწყო "ბუღაძე" (თამაზ ყურაშვილი - 17 ივნისს, ასევე ავთოქების შედეგად მოკლულა - რე);

მოსესიანმა აღნიშნა ის გარემოებაც, რომ არც ი. დოკვაძეს და არც პ. გელდახანს არ გაუკვლია სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. "ცხადია ისინი ნორმალური არიან, მაგრამ მე მაქვს ტერესებს, თუ ასეთი აქტი ჩადინა პ. გელდახანმა, რატომ გააკეთა ეს სიფედრის ბინაში, სადაც იმის შეილება ცხვრობენ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მისი ბინა დაზიანდა. პ. გელდახანმა გაიმეტა სხეული, მაგრამ წუთო ფსიქიურად ნორმალურს აღამაინა შეიძლება გაიმეტოს თავისი შედეგები."

შემდეგ გ. მუსხისანმა მოიტანა ციტატა ერთ-ერთი განხილვის, სადაც წერია, რომ ირ. დოკვაძის არის აგენტი და პროვოკატორი, და დასვა ბუფერბივი კითხვა: რატომ არ იქნა გამოძიებული საქმე ამ კუთხით? რატომ იქნა უგულებელყოფილი ეს ვერსია.

"მე არ მაინტერესებს, ეს შეესაბამება თუ არა სინამდვილეს - თქვა მან. - მე ამ კითხვას მხოლოდ იმ კუთხით ვსვამ, რომ ეს ადასტურებს - საქმე არ არის გამოძიებული, არ არის განხილული სხვადასხვა ვერსიები, მეტიც, არ არის დაკითხული მიზეზი რიგი შეწყვეტი. ანხორ ბალუაშვილმა 1992 წლის 11 დეკემბერს მოსკოვში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სასამართლოში საქმის გადასაცემად აუცილებელია პასუხისმგებლობა იქნენ მიცემული ზვიად გამსახურდიას, თემურკვანტალიანი, გომიზა ელსაშვილი, ანუ პირები, რომლებიც ქ. გროზნოში იმყოფებოდნენ. ერთი, რომ ბალუაშვილმა რატომაც შეიკვლია არც და ამის გარეშე გავასცა საქმე სასამართლოს. მეორე, თუკი მოხერხდა პ. გელდახანისა და გ. დომუხოსვის ბაქოდან ჩამოყვანა - ამისათვის განოიყო მიზეზი ჯგუფი, ჩატარდა ოპერაცია, დაინიშნა სპეციალური სააგრო რეისი - რატომ ვერ მოხერხდა ერთი გამოძიებულის გაგზავნა გროზნოში. რათა შემოსხენებული პირები დაეკითხა თუნდაც მოწმეების სახით. ამგვარი ცდგელობაც არ ყოფილა. ეს ყოველივე დასტურია იმისა, რომ საქმე არ არის გამოძიებული და საჭიროებს ხელახალ ძიებას."

არაუპიტი, როგორც არაუპიტი

დაბოლოს, ადვოკატმა გამოსესიანმა ი. დოკვაძის სასარგებლოდ წამოაყენა არგუმენტი, რომელმაც ერთის მხრივ, შეაფრთხა აუცილებელია და, მეორეს მხრივ, ღიმილი მოგვარა, რამეთუ ადვოკატმა ძიების მიერ დაზარალებული ვერსია ძიებისასვე წინააღმდეგ შემოატრიალა:

"ერთი წუთით დავიჯეროთ, რომ ბრალდებულის ვერსიის თანახმად, ამ ავთოქების მოწმობა მის მიერ შექმნილ ამ ჯგუფს მართლაც დაავალა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც იყო პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი. პროკურორმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ დოკვაძეს ყვარლის ჯგუფის წევრები იცნობდნენ, როგორც ბატალიონის უფროსს, შემდეგ კი მას თითქოს განუცხადებია, რომ პოლკის უფროსია."

თუკი გამსახურდიას იყო მთავარსარდალი, ხოლო დოკვაძე ბატალიონის უფროსი, მჭონდა თუ არა მას უფლებად არ შეგნებულდინა მხედრობითაგვის ბრძანება. კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ბრძანების გამცემს. მაშინ დოკვიურია, რომ პასუხი უნდა აგოს გამსახურდიამ."

თუ ჩემი ნათქვამი შეესაბამება საქმის მასალებს, თუ მე არ ვიტყვები, მაშინ თქვენ, ბ-ნი მოსამართლე, ვერ მიიღებთ სასიკვდილო განაჩენს, და თუკი მიიღებთ, ჩვენ, ცხადია, ზეწვით გავასაჩივრებთ მას, მაგრამ მე შენიშნა - სიკვდილით დასვა არ მოხდეს ზეწვით გასაჩივრების დამთავრებამდე. მე გთხოვთ, როცა შეხვდეთ საოთხბირო ოთახში, დავიქვრებოთ ამასზე.

მე ვთხოვ სასამართლოს, საქმე დაბრუნდეს ძიებაში და მოხდეს მისი ხელახალი გამოძიება, რამეთუ ეს ძიება სრულყოფილად არ ჩატარებულა. ხოლო საბოლოოდ მე მოვითხოვ მიღებულ იქნას გამამართლებელი განაჩენი."

ამ სიტყვებით დაასრულა ადვოკატმა გიორგი მოსესიანმა თავისი სიტყვა, რომელიც პროკურორის მიმართ, ფაქტობრივ მასალის შექმნა და ოურიდიულ არგუმენტაციის დოკვიურობით სრულებით აბათილებს წინასწარი ძიების მიერ შეთითხნულ უზუსტო ვერსიას. შეიძლება ითქვას, რომ მან თეთროულად უკვე დაშალა ე.წ. "ჩიქოვანის ქუჩის" საქმე, ოურიდიულად ამხილა სასამართლო და პირადად მოსამართლე ტენტენცურობასა და არაკეთილმინდობის სიერებაში.

ყვოფა თუ არა მოსამართლე მირზა დოლიძეს გამბედაობა აღიაროს ეს აშკარა რეალობა, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ნინო ჩენგლაშვილი
(7 თებერვლის სხდომის მეორე ნაწილის რეპორტაჟს შემოვთავაზებთ შემდეგ ნომერში)

306 არის ანზორ ბალუაშვილი

ტერორი საქართველოში

გასული წლის 19 სექტემბერს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის "პიუმან რაიონის ვოტ/პელსონიკ"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ბნმა ჯერი ლეიბერმა საქართველოს პროკურატურის მისამართით გააგზავნა წერილი, რომელიც გამოხატულია შემოვიტოვა სისხლის სასართლის №7493810 საქმის გამოძიებისას დაშვებული კანონდარღვევების თაობაზე, მოყვანილია პატიმართა უფლებების შელახვისა და მათზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტები.

საქართველოს პროკურატურამ უჩვეულო ოპერატიულობა გამოიჩინა და 28 სექტემბერს ბნ ლეიბერს აახლა პასუხი, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, განვითარებულია ზემოხსენებული საქმის ოფიციალური ვერსია.

ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ პროკურატურამ ეს მისა მიანდო აკუპად გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე დაწინაურებული ანზორ ბალუაშვილს, ანუ პიროვნებას, რომელიც თავად ხელმძღვანელობდა ამ საქმის (აგრეთვე "პრეზიდენტ ზეიდა გამასხურდასა და მის მომხრეთა" მიმართ აღძრული სისხლის სამართლის შემადგენელ საქმეებს) საგამომძიებლო ჯგუფს და რომელსაც უშუალოდ ეკისრება პასუხისმგებლობა პოლიტიკური პატიმართა წამების გამო. ამდენად, გამოდის, საერთაშორისო ორგანიზაციის "გემპირატებას" აზიარებს ის, ვისაც ბრალად ედება წინასწარი პატიმრობის დროს კანონსწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა.

ამიტომ, მუხრანბრევა, წერილის ავტორი დასაწყისშივე ბოუთითებს:

"თქვენი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში მოყვანილი მტკიცებულები პროცესუალური ნორმების დარღვევის შესახებ ემყარება მხოლოდ დანიტერესებული პირების განცხადებებს.

მტკიცება იმის შესახებ, რომ ვითომ გამოძიებისათვის საჭირო ჩვენებების მოსაპოვებლად დამნაშავეების მიმართ გამოყენებული იქნა არაკანონიერი მეთოდები: ცემა, წამება, რაც დასტურდება გედევან გელბახიანისა და ზაზა წიკლაურის სხეულის დაზიანებით, არ გამოძინარეობს საქმის ობიექტური მასალებიდან." - არწმუნებს ბნ ლეიბერს ბ. ბალუაშვილი.

კიდევ უფრო საინტერესოა ბალუაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა ვითარებაში მიიღეს პატიმრებმა სხულის მძიმე რაზმების მიხედვით:

"დადგინდა, რომ 1993 წ. 8 თებერვალს ქ. თბილისის №1 საგამომძიებლო იზოლატორში საყოფაცხოვრებო ნივთები (!) - რედი, წარმოქმნილი ჩხუბის შედეგად პატიმარმა ჩოგოვაძემ გ. ბეღბახიანის დაუხიანა სხეული." (...)

"თავად გელბახიანმა დადასტურა გ. ჩოგოვაძისთან ჩხუბის ფაქტი და უჩვენა, რომ ძიების პროცესში ჩვენების მიცემისას მას ძალას არ ატანდნენ."

აღნიშნავია, რომ ბნ გედევან გელბახიანის წინასწარი ძიების მიმდინარეობისას მართლაც უარყოფდა პატიმარ დ. ჩოგოვაძის მიერ ფიზიკური ზემოქმედების გამოყენებას ჩვენებების გამოძალვის მიზნით, ეინიდან ამ ფაქტის სასწავლო გამოცდის მისი მცდელობის კვლავ ფიზიკური ანგარიშსწორება მოკვდა. მაგრამ საეჭვოა ბალუაშვილმა არ იცოდეს, რომ უკვე სასამართლო გამოძიების პროცესში არაერთმა პრადლეტებმა, მათ შორის ბნმა გედევანმა, დადასტურა, რომ მკვლელობისთვის ნასამართლევი, სიკვდილისჯილი პატიმარი დავით ჩოგოვაძე საგამომძიებლო ჯგუფის დავლებით სისტემატურად აკლუბდა ჯვალათის უფქციას და მუქარით, შანტაჟით, საშინელი ცემითა და წამებით აიძულებდა მათ ხელი მოეწერათ ყალბ ჩვენებებზე.

ასეთივე გულმავიწყობა იჩენს გენერალური პროკურორის მოადგილე ზაზა წიკლაურთან დაკავშირებით და ამის გამო წინააღმდეგობაშიც ვარდება: "იმის გამო, რომ ზაზა წიკლაური შეგნებულად ემალეობდა ძიებას, მასზე გამოცხადებული იქნა ძეხა." - აცხადებს იგი ერთგად და იქვე გაემცნობს:

"1992 წლის აგვისტოში იგი (ზ. წიკლაური - რედ.) დააკავეს თავის სახლში. მოსალოდნელი სასჯელის თაობაზე აცხადების მიზნით, გზაში იგი გადმოსტა მანქანიდან, დაენარცხა ასფალტს და ამის შედეგად მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები."

მეტად ორგანალური ვერსია ყალიბდება: ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა მძიმე დანაშაული და რომელსაც გამოცხადებულია ძეხა, იმალეობა საკუთარ სახლში! ლოგიკურად იმალეობა სხვა კითხვებიც: რუთუ ძეხაში მყოფ საშიშ დამნაშავეს დაკავებისთანავე ისეთ მანქანაში სვამენ, რომლიდანაც ასე იოლია გადმოსტომა და ასფალტზე დანარცხება? ან რას იქნა და დეკად არა აბისა, ბალუაშვილი შეგნებულად გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ ზაზა წიკლაურის ციხეში ნახვისას პრიტანეთის პელსონიკის ჯგუფის წევრებმა, მათ შორის ექიმმა, დააფიქსირა კანის მძიმე დაზიანება, რომელიც შეუძლებელია ასფალტზე დანარცხების შედეგად იყოს მიღებული. გარდა ამისა, ბალუაშვილი კვლავ იმეორებს ფიზიკური პრესის ქვეშ მყოფი პატიმრის ზეპირ განცხადებას და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სასამართლო პროცესზე ზაზა წიკლაურმა განმარტა მისი ტრავმების ნამდვილი წარმომავლობა.

დამოლოს, ცინიზმის უკიდურეს გამოვლენას წარმოადგენს ბალუაშვილის მტკიცება:

"პროცესის მსვლელობის პერიოდში ყველა დამ-

ნაშავე უზრუნველყოფილი იქნა მათ მიერ არჩეული ადვოკატებით და ყველა საგამომძიებლო მოქმედებით მიმდინარეობდა ადვოკატების თანდასწრებით."

ამას წერს ოუნიტი, რომლის ფრთოსანი ფრაზა - "ლენინი დიდი ხანია მოკვდა - კომუნისტში ხომ არა ხარ, ადვოკატებს რომ ითხოვ" - ლამის ყველა ბრალდებულის ჩვენებაში ფიგურირებს.

ზემოხსენებული ეპისტოლე კიდევ მრავალ საინტერესო ნააზრევს გვთავაზობს და კიდევ ერთხელ აშკარაგებს საქართველოს რეპრესიული აპარატის მოქმედების მექანიზმს. მაგრამ, ვუიქრობთ, უმჯობესია ყურადღება გაგვახვილოთ რეალურ ფაქტებზე და არა პროკურატურის მესვეურთა ფანტაზიებზე. თვალსაჩინოებისთვის შეითხველს ვთავაზობთ ამონაწერებს პოლიტიკური პატიმართა მიერ სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებებიდან, რომელიც ცხადყოფს ანზორ ბალუაშვილის განსაკუთრებულ როლს ამ საქმეების ფაქტობრივობაში.

ლერი დონბაძე: "... წინასწარი სცენარით შედგენილი ყალბი ვერსიებით წამიყენეს ბრალდება, თან მაფორსილებდნენ, თუ უარს იტყვი ამკარნი ჩვენების მიცემაზე, ჩვენ შეგწვევს უნარი ისევ გაგატაროთ იმ "პრესებში", რომელიც უკვე გაიარეთ (ეს "პრესი" კი წარმოადგენს უდანაშაულო ხალხის ცემას რეზინისა თუ ხის ხელკეტებით, ცეცხლსაწრული იარაღის ტარით).

... გამოძიების ოთახის ღია კარში იდგა გჯუფის უფროსი ანზორ ბალუაშვილი, რომელიც თავის მხრივ დანმარებას სთავაზობდა ჯინჯვლავას: "თუ საჭიროა, გაგატაროთ "პრესში". აი, ამ ვითარებაში ხდებოდა ჩემი "აღიარების" ჩამორთმევა.

დავით ტალაშვილი: "დავით ზეიკიძის კაბინეტში ისევ შეურაცხყოფა მომაყენეს... იქ იყო ანზორ ბალუაშვილი და მასთან კიდევ ორი კაცი - კარგად მცემს. ტელეფონით ხელები დამიბეს. მცემდნენ უმოწყალოდ."

"დაკითხვის ესწრებოდა გედი გელბახიანი, ანზორ ბალუაშვილი და სხვები. გედი ძალიან იყო ნაცემი. ბალუაშვილმა მიითხრა: თუ ხელს არ მოაწერ, უარს დღეს დავაყენებ გედისო. იმიტომ მოგაწერე ხელი."

გელა ხადურია: "ბალუაშვილმა დამკითხა რაც-თითონ აწყობდათ, იმას ამბობდნენ, დაყოფლეს. ციხეში რომ გადავიყვანა, იქ მოგვლავითო."

ბადრი ოქროპირიძე: "გამომძიებლისა შეხვედრის დროს იქ დამხვდა ანზორ ბალუაშვილი და გინებოდა და მუქარით მიითხრა: ბიჭო, რატომ ვჯობობ, მაინც ყველაფერს მოაწერ ხელს, რასაც ჩვენ გეტყვიანო. მე უთხარი, არაფერი არ ვიცი და რაც არ გამიკეთებია, იმას ხელს არ მოგაწერ-მეთოქ. იმასაც ვნახავთო, მიპასუხა."

იმავე დღეს გამოძიებლის საკინდ და ისე მცემეს, რომ ტუჩები დამიკვდა; შემდეგ მარჯვენა ბეჭის ძირზე დამადგეს გაუარებელი წვეტიანი რკინა და მანამ არ მომპირეს, სანამ არ მიიღეს ჩემგან თანხმობა, რომ ხელს მოგაწერდი მათ ჩვენებებს."

თამაზ წიკლაური: "ჩემს სადისტურ წამებში პირადად ბალუაშვილი იღებდა მონაწილეობას."

... დამიძალადეს მარცხენა ხელი და ფეხი, გამიტეხეს მარჯვენა ხელის ნეკა და დიდი თითი, თავში დარტყმისასგან განმითვითარდა თავის შიდა ქალის წვევა."

ცდილობდნენ ჩემს დაწვას მავით... იყო დახვერტის იმიტაცია."

ზურაბ გოგინაშვილი: "...ჩემს ტანჯვას და წამებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ბალუაშვილი... მცემდნენ, ვუხები ახლაც მტკუნ, და მიმტერის ნეგებო... ბალუაშვილმა თავზე აირწინა ჩამომაცხა და გადამიკეტა სარკველი. როცა გავიფუდე და ცნობიერება დაკარგე, საკანში შემადგლო..."

ზურაბ ბარძიმაშვილი: "...1992 წლის 12 ოქტომბერს, გულის ოპერაციის გაკეთებიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ჩემთან №28 საკანში შემოვიდა საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი ანზორ ბალუაშვილი. მან დარწმუნებას და დამცირების შემდეგ ფეხი ჩამარტყა ახალ ჭრილობაში და შემდეგ მცემა იმის გამო, რომ თავი არ ვცანი დამნაშავედ..."

გივი კალმახელიძე: "ბალუაშვილის ბრძანებით დამით ორჯერ გამოიყენეს "დასახვერტად", მცემდნენ სკამის ფეხებით... შემუქრობდნენ ჩემს თვალწინ ქალიშვილის გაუპატოვრებით... მიბრძანეს, დამეძინა ცემენტის იატაკზე საწოლის ქვეშ... მაიძულებდნენ მარშით მეველო დედე-დამეში ორი საათის განმავლობაში, როგორც გამასხურდას გავრდიის ოფიციალურ..."

გედევან გელბახიანი: "ბალუაშვილი ამგვრებდა რა თავის. "არგუმენტებს", საშინელი დანძღვა-გინებოთა და უცენსურო სიტყვებით გასცემდა ბრძანებებს ჩემი შემდგომი "დამუშავების" თაობაზე, ე.ი. ცემაზე... ბალუაშვილი არაერთხელ დამეპუქრა მეუღლის "დაპატიმრებით მისთვის არასასურველი ჩვენების მიცემის შემთხვევაში..."

ემზარ კობახიძე: "მე განეცხადე, რომ მზადა ვარ მივცე ჩვენება, მაგრამ ბალუაშვილმა ამიკრძალა. დამიღო წინ ფურცელი "ჩემი ჩვენებებით" და მიბრძანა მისი გადაწერა."

1991-92 წლის კომუნისტურ კრიმინალური გადატრიალებიდან დღემდე საქართველოში ხორციელდება ტერორისტული აქტების მთელი სერია, რომელმაც ძირითადად არსებული რეჟიმის თვალსაჩინო წარმომადგენლები და მასთან დაახლოებული პირები შეიწირა (თ. ყურაშვილი, ქურდაძე, გ. გულუა, ი. მხეიძე, გ. სვანაძე, ზ. ვეფხვაძე, ნ. კეკელიძე, პ. ჩლაიძე, ა. მიქელაძე, გ. ჭანტურია, ა. დთუაშვილი და მრავალი სხვა).

თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მსგავსი შემთხვევების დროს ესა თუ ის პიროვნება ან დაჯგუფება თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ტერორისტული ქმედების შედეგებზე. ჩვენთან ერთგვარად განსხვავებული ვითარებაა. ერთის მხრივ, არავინ არაფერს იღებს თავის თავზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, სახეზეა მრავალსტრატეგიული ფაქ-

ტები. კერძოდ, ზ. ვეფხვაძისა და გ. სვანაძის მკვლელობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ გააცნო, რომ ზემოთ ხსენებულ პიროვნებებთან ერთად მოკლულ იქნა სრულად უდანაშაულო ადამიანი. აქედან გამომდინარე, მათვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ვეფხვაძისა და სვანაძის უდანაშაულობა; სულ ახლახანს კი, გ. ჭანტურიას მკვლელობის შემდგომ, სახელმწიფოს მეტაფორმა გენერალ-ლეიტენანტობა მიანიჭა სახელმწიფო უშიშროების უფროსს ოგორ გიორგაძეს - სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც უშუალოდ ევალება ტერაქტების აღკვეთა, ამ დროს იგი, სულ მცირე, საკვდურს უნდა იმსახურებდეს.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დახარალებული მხარე ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც არაორაზროვან ბრალდებებს აყენებს ხელისუფლებისა და მთა-

ვრობის უმაღლეს წარმომადგენელთა მიმართ. მაგრამ პასუხისგებაში მიცემაზე რომ არაფერი ეთქვათ, ფაგორი და რესპექტიც არავის მოჰკლებია.

ამრიგად, საქმე გვაქვს კარგად ორგანიზებულ სახელმწიფო ტერორთან, რომელიც დღესაც ერთგულად მისდევს თავის ბოლშევიკი იდეოლოგიების მოძღვრებას: "ურტყი შენიანს, რომ სხვებს ეშინოდეთ."

ჩვენის მხრივ კი დავსებთ, რომ ძალადობა წარმოშობს ძალადობას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნება დამნაშავეა ერისა და ქვეყნის წინაშე, მაგრამ ისინი უნდა გასამართლდნენ სასამართლო წესით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნან ავთენტული საკუთარ ავტომატანებში, თუ ცოფიანი ძალებითი ჩაცხრილულნი საკუთარ სადარბაზოებთან.

გ. მ.

2 თებერვალი - ...სამი წლის უმედეგ

დემოკრატიის დარაჯები კვლავ მომარტლებული შეგებენ სისხლიან თარიღს. უკვე 1 თებერვალს, ისევე როგორც სამი წლის წინ, ძალიანძიერი ორგანოების წარმომადგენლებმა, ამჯერად - ლანჩავას მაგერს შსს მინისტრის სამმართველოს უფროსმა დემურ მიქაქემ ტელეგამოსა, რომ სასტიკად გაუსწორებოდა სამგლოვიარო აქციის მონაწილეებს და უიარაღო მოსახლეობას წინასწარ დააკისრა პასუხისმგებლობა მოსალოდნელი სისხლის ღვრისათვის.

დღის 12 საათისათვის, თამარის ხიდის მისაგდომები, სადაც საქართველოს პელსონიკის კავშირის მიერ დანშინული იყო საგლოვიარო აქცია, გაიგხო პოლიციისა და ომონის რაზმებით.

წესრიგის დამცველი "აკაკებდნენ ჯგუფ - ჯგუფად მდგარ თუ გამწვლ მოქალაქეებს და მათრევენდნენ იქვე მდგარი მანქანებისაკენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ მათ მიმართ, ვინც მასზე ცნობდნენ ან ვის ხელშიც ყვავილებსა და სანთლებს დაინახავდნენ. ამგვარი შერჩევითი ტაქტიკის გამოყენებით დააპატიმრეს პრეტენსიონარ დაალონა, პელსონიკის კავშირის წევრები - მურმან მზარელა, ნატო აბაკელი, ნონა დოჭვირი, ზურაბ ურუშაძე (აგრარული უნივერსიტეტის პროფე-

სორი), აფხაზეთიდან გედენი - კლარა შუკანი, აგრეთვე მიაკერესხეიძე, ლამარა ლოლელიანი, შოთა უსნაძე, გურანდა მკალოძეშვილი. დაკავებულები მიიყვანეს დიდუბის რაიონის პოლიციის განყოფილებაში, ჩვეულებრივ მეთოდით, უხვი ლანძღვა-გინების მოშველიებით დაკითხვას შემდეგ ისინი ადმინისტრაციული წესით გაასამართლეს მოსამართლე ი. დადგაშვილმა, "საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის" თითოეულს ჯარიმის მოსჯელა. სადამოს 18.00 საათისთვის უკანონოდ დაკავებული მოქალაქეები გაანთავისუფლეს.

